07.05.2015
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მეცამეტე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- **ინფორმაცია ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) მმართველი კომიტეტის შეხვედრის შესახებ; ინფორმაცია OGP-ის კვლევაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ; სიახლეები საქართველოში დაგეგმილი OGP-ის რეგიონული ღონისძიების შესახებ.**

  ზურაბ სანიკიძე, ფორუმის მომხსენებელი
- **ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდო 2015, განხილვა.**

  ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- **სამოქმედო გეგმის შესრულების 2014 წლის მონიტორინგის შემაჯამებელი შედეგების წარდგენა.**

  დეა ცარციძე, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- **ვალდებულებების შესრულების პროგრესი:**
  - სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი - საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება (ვალდებულება 18)
  - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება (ვალდებულება 19)
  - სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება - „ყველა ყველაფერს ხედავს“ (ვალდებულება 20)

2. ინფორმაცია OGP-ის მმართველი კომიტეტის შეხვედრის შესახებ; ინფორმაცია OGP-ის კვლევაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ; სიახლეები საქართველოში დაგეგმილი OGP-ის რეგიონული ღონისძიების შესახებ.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის (შემდგომში - ფორუმი) მომხსენებელმა, ბ-ნმა ზურაბ სანიკიძემ ფორუმს მიაწოდა ინფორმაცია 2015 წლის 21-23 აპრილს მეხიკოში გამართული OGP-ის მმართველი კომიტეტის შეხვედრის შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, ქ-ნმა თეა წულუკიანმა და ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მომხსენებელმა, ბ-ნმა ზურაბ სანიკიძემ.

2015 წლის 23 აპრილს მინისტრი სიტყვით წარსდგა მმართველი კომიტეტის წინაშე და ისაუბრა ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე. მინისტრმა მმართველი კომიტეტის წევრებს გააცნო ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი ცენტრების განვითარებასა და ელექტრონული მმართველობების დანერგვას ეხება.

OGP-ის მმართველი კომიტეტის სამუშაო დონის შეხვედრაზე ბ-ნმა სანიკიძემ ისაუბრა საქართველოში 2015 წლის 3-4 ივნისს დაგეგმილი OGP-ის რეგიონული ღონისძიების მიზნებისა და ძირითადი განსახილველი საკითხების შესახებ. მან ასევე ისაუბრა საქართველოში მიმდინარე ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში საქართველოსა და მექსიკას შორის განხორციელებული სასწავლო ვიზიტის მნიშვნელობის შესახებ და მონაწილეობა მიიღო განხილვაში თუ როგორ უნდა გადავიდეს აქტიურ ფაზაში ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება.

მმართველი კომიტეტის შეხვედრების ნაწილი დაეთმო OGP-ის მორიგი გლობალური სამიტის დაგეგმვას, რომელსაც 2015 წლის ოქტომბერში მექსიკა, როგორც მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა, უმასპინძლებს. განხილულ იქნა ასევე წევრი ქვეყნების მიერ ღია მმართველობის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და პარტნიორობის მდგრადი განვითარების გეგმა. კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს ღია მმართველობის ჯილდოს კონკურსის შესახებ, რომელიც წელს მეორედ იმართება. კომიტეტმა განიხილა ღია მმართველობის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. ბ-ნმა სანიკიძემ ფორუმს მიაწოდა ინფორმაცია OGP-ის მმართველი კომიტეტის თანათავმჯდომარედ საფრანგეთის არჩევის შესახებ.

ფორუმის შეხვედრაზე ბ-ნმა სანიკიძემ ასევე ისაუბრა OGP-ის კვლევაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. OGP-მ წევრი ქვეყნების ინოვაციური პრაქტიკის ანალიზისთვის შეარჩია რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის საქართველო. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014–2015 წლების სამოქმედო გეგმის შემდეგი ვალდებულებების შემუშავების პროცესი და შესრულება: (1) „საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება“ და (2) „ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვა“. OGP-ის დაკვეთით კვლევას Christian Michelsen Institute (CMI) აწარმოებს. აღნიშნული ინსტიტუტიდან მოვლენილმა მკვლევარმა 5 დღიანი ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა OGP საქართველოს სამდივნოსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, როგორც ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებასთან. მკვლევარი ასევე შეხვდა საჯარო რეესტრის ეროვნულ

სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლებს. ცენტრებში დასაქმებულ ადგილობრივ კადრებთან შეხვედრის მიზნით მკვლევარი ასევე ეწვია სართიჭალის საზოგადოებრივ ცენტრსა და ნუკრიანის ბიბლიოთეკას. კვლევის შედეგების პრეზენტაცია OGP-ის გლობალურ სამიტზე, მექსიკაში გაიმართება.

ბ-ნმა სანიკიძემ ისაუბრა OGP-ის ევროპის რეგიონული კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. სამდივნომ ფორუმს გააცნო დღის წესრიგის განახლებული ვერსია; გაიმართა მსჯელობა ფორუმის წევრების სესიებზე მონაწილეობის შესახებ.[1]

3. ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდო 2015, განხილვა.

სამდივნოს ინიციატივით ფორუმმა კიდევ ერთხელ იმსჯელა 2015 წლის ღია მმართველობის ჯილდოს კონკურსზე საქართველოს მონაწილეობის შესახებ. მიმდინარე წელს საკონკურსო თემაა სახელმწიფო სერვისების განვითარება, რაც OGP-ის მიერ გამჭვირვალე მმართველობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად არის მიჩნეული. ფორუმის წევრებმა იმ პროექტების შესახებ იმსჯელეს, რომლებიც, მათი მოსაზრებით, კონკურსზე წარდგენის შემთხვევაში, საქართველოს წარმატებულ შედეგს მოუტანს. ფორუმის გადაწყვეტილებით საქართველო მიმდინარე წლის ღია მმართველობის ჯილდოს კონკურსზე წარადგენს ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ პროექტს - „მომხმარებლის ხმა“, რომლის მთავარი მიზანია, მოქალაქეების კომენტარებისა და შეფასებების გათვალისწინებით, საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება.

4. სამოქმედო გეგმის შესრულების 2014 წლის მონიტორინგის შემაჯამებელი შედეგების წარდგენა.

იხილეთ დეტალური პრეზენტაცია 2014 წელს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შემაჯამებელი შედეგების შესახებ.

5. ვალდებულებების შესრულების პროგრესი

ფორუმმა მოისმინა სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის, ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშები ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გადადგმული ნაბიჯებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ ისაუბრა. სსიპ - შესყიდვების სააგენტომ

[1] 2015 წლის 3-4 ივნისს OGP-ის წევრ ქვეყნებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, საქართველოს ეწვევიან OGP-ის 30-მდე წევრი ქვეყნის, სამუშაო ჯგუფებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დეტალურად მიმოიხილა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოებისა და მასში კონკურსის ელექტრონული მოდულის ინტეგრირების სამუშაო პროცესი. ფორუმმა შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებს სთხოვა რიგი საკითხების კიდევ უფრო სიღრმისეული განხილვა, სწორედ აღნიშნულს დაეთმო პრეზენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ფორუმს გააცნო საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით განხორციელებული აქტივობები და სამომავლო გეგმები. ფორუმის ერთ-ერთი წევრის რეკომენდაციაა საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება და მათგან უკუკავშირის მიღება მოხდეს სოციალური ქსელების მეშვეობითაც, რაც უფრო მარტივი იქნება საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის. ფორუმის ერთ-ერთმა წევრმა წამოაყენა იდეა ღია მმართველობა საქართველოს ფარგლებში (მაგალითად, ფორუმის ქვეშ) შეიქმნას ვიწრო სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ბიუჯეტის ღიაობის თემებზე და ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იდეების/ღონისძიებების შემუშავებაზე, ასევე სამომავლო გეგმების დასახვაზე.

6. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

- სამდივნო ფორუმს მიაწოდებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2014 წლის საბოლოო შედეგებს;
- სამდივნო განაგრძობს მუშაობას სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2015 წლის I კვარტლის მონაცემებზე;
- სამდივნოს, სსიპ - იუსტიციის სახლისა და IDFI-ს წარმომადგენლები ერთობლივად იმუშავებენ ღია მმართველობის ჯილდოს აპლიკაციაზე.

ფორუმის მორიგი სამუშაო შეხვედრის თარიღი OGP-ის ევროპის რეგიონული კონფერენციის დასრულებისთანავე შეთანხმდება ფორუმის მომხსენებლებთან

7. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ

იუსტიციის სამინისტრო	ზურაბ სანიკიძე, ქეთი ცანავა, დეა ცარციძე, მარიამ თუთბერიძე
სსიპ - იუსტიციის სახლი	ნინო მურველაშვილი; ირაკლი ლომიძე
სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო	პაატა სირბილაძე
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	თინათინ სხირტლაძე
სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ნოდარ ხერხეულიძე; მანანა შურღულაია
სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	ალექსანდრე ხუსკივაძე
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ნათია გულუა
სსიპ - 112	ანა კეკელიძე

სსიპ - შსს-ს აკადემია	დავით ალავერდაშვილი
ცესკოს სწავლების ცენტრი	ნინო ბერულავა
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	მაკა მიქაბერიძე
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	საბა ბუაძე
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	ერეკლე ურუშაძე
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი, დავით მაისურაძე
ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო	ვაკო ნაცვლიშვილი
UNDP	თინათინ სულაძე; სალომე ოდიშარია
USAID GGI	David Smith, მარიკა გორგაძე
OGP Independent Reporting Mechanism (IRM)	ლაშა გოგიძე